

## „სარკინიგზო გადაზიდვები“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ზოგადი განათლების  
საშუალო საფეხურის ინტეგრირებული მოდულებით

ა ნ ო ნ ს ი



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

„სარკინიგზო გადაზიდვები“

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე

- საშუალო საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია რკინიგზის ოპერირებაში/ Secondary Vocational Qualification in Railway Operation.

მიზანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს სარკინიგზო გადაზიდვების სპეციალისტები სარკინიგზო ინდუსტრიის მოთხოვნათა შესაბამისად.

დაშვების წინაპირობა

სრული ზოგადი განათლება დანართი N<sup>01</sup>-ით გათვალისწინებულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლებაზე.

საბაზო განათლება დანართი №2-ით გათვალისწინებულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ინტეგრირებულ სწავლებაზე.

**დასაქმების შესაძლებლობები:** საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სარკინიგზო გადაზიდვების“ გავლის შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერ სახელმწიფო ან კერძო ორგანიზაციაში, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებული იქნება სარკინიგზო გადაზიდვებთან.

დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCO შესაბამისი კოდები: ნაწილობრივ 8312, 7421.

## **სტრუქტურა და მოდულები**

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ინტეგრირებული მოდულებით:**

ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 2 ზოგად მოდულს 8 კრედიტის ოდენობით; 5 ინტეგრირებულ მოდულს 60 კრედიტის ოდენობით, 8 საერთო პროფესიულ მოდულს 25 კრედიტის ოდენობით, 6 კონცენტრაციის მოდულს 50 კრედიტის ოდენობით

კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 143 კრედიტი, სწავლების ხანგრძლივობაა 30 თვე.

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

- ინტეგრირებული პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 143 კრედიტი;
- ინტეგრირებული პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 122 კვირა;
- ინტეგრირებული პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 173 კრედიტი;
- ინტეგრირებული პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 142 კვირა.

## **სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება**

კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
  - ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
  - გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.
- არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

### **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება**

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტის რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევა.

### **კვალიფიკაციის მინიჭება**

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა, კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.